საიდ. N 79975/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N162-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „ალვეან შუგარ ინტერმედიაკანო ე აჟენსიამენტო ლტდა.“ (ALVEAN SUGAR INTERMEDIAÇÃO E AGENCIAMENTO LTDA.) N162-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 27 ოქტომბრის N1847/03 ბრძანების ბათილად

ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „ALVEAN“ (საიდ. N79975/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 35-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირება მომსახურების შემდეგი ჩამონათვლის მიმართ: „შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული მართვის მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრირების მომსახურება; სოფლის მეურნეობისათვის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მარკეტინგისა და გასაღებაში ხელშეწყობის საშუამავლო მომსახურება; არარაფინირებულ და თეთრ შაქართან დამატებით ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის საშუამავლო მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის სეგმენტთან დაკავშირებულ მართვაში დახმარებისა და საკონსულტაციო მომსახურება; სოფლის მეურნეობის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მიმწოდებლებთან/დილერებთან დაკავშირებით ბაზრის შესწავლა და კვლევა საბითუმო და საცალო ბაზრისათვის“.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 27 ოქტომბრის N1847/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „ALVEAN“ ექვემდებარება ნაწილობრივ რეგისტრაციას, ვინაიდან

იგი მსგავსია კომპანიის „ალვერნ მედია გმბჰ“ (Alvern Media GmbH) სახელზე 35-ე კლასის მსგავსი მომსახურების ჩამონათვლისათვის „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმის“ მიხედვით, საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „ALVERN“ (IR 985659, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი: 2008-10-22). განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. ორივე ნიშანი სიტყვიერია და მათ შორის ერთადერთ განსხვავებას წარმოადგენს მეხუთე ასო, რომელიც ერთ შემთხვევაში არის „A“, ხოლო მეორეში - „R“. აღნიშნული სხვაობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმაო განმასხვავებლობას, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვლის მიმართ: „რეკლამა, თვითღირებულება-ფასის ანალიზი; რეკლამის გავრცელება; ბიზნეს კონსულტაცია; ბიზნესის მართვის საკონსულტაციო სამსახური; ბაზრის კვლევა; სარეკლამო ტექსტების გამოცემა; მარკეტინგი; გამოკითხვის გზით კვლევა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; გარე რეკლამა; სარეკლამო ადგილის გაქირავება; სარეკლამო მასალის გაქირავება; რეკლამის გავრცელება; სარეკლამო მასალის განახლება; ბიზნესის მართვის მომსახურება; ბიზნესის ადმინისტრირება; საოფისე სამსახური“ (Advertising; cost-price analysis; dissemination of advertisements; business consultancy and advisory services; business organization consultancy; business management advisory and consultancy services; market research; publication of publicity texts; marketing; opinion polling; public relations; outdoor advertising; rental of advertising space; rental of advertising material; dissemination of advertisements; updating of advertising material; business management services; business administration; office functions), განცხადებული ნიშნის დაცვა კი მოითხოვება 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვლის მიმართ: „შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული მართვის მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრირების მომსახურება; სოფლის

მეურნეობისათვის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მარკეტინგისა და გასაღებაში ხელშეწყობის საშუამავლო მომსახურება; არარაფინირებულ და თეთრ შაქართან დამატებით ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის საშუამავლო მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის სეგმენტთან დაკავშირებულ მართვაში დახმარებისა და საკონსულტაციო მომსახურება; სოფლის მეურნეობის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მიმწოდებლებთან/დილერებთან დაკავშირებით ბაზრის შესწავლა და კვლევა საბითუმო და საცალო ბაზრისათვის. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის 35-ე კლასის მომსახურების ფართო ჩამონათვალი მთლიანად მოიცავს განცხადებული ნიშნის 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალს, რაც იწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აღნიშნულის გამო, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დარეგისტრირდა 36-ე კლასის განცხადებული მომსახურების ჩამონათვალის მიმართ და უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 35-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო: აპელანტის განმარტებით, მიუხედავად განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების გრაფიკული და ფონეტიკური მსგავსებისა, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული მომსახურების სრული ჩამონათვლისათვის. როგორც ცნობილია, ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება კონკრეტული საქონლის და/ან მომსახურების ჩამონათვლისათვის, რომელსაც ნიშნების იდენტურობის ან მსგავსების შემთხვევაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. „სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას

წარმოადგენს იმ საქონლის და/ან მომსახურების მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია დაპირისპირებული ნიშნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და/ან მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორი დაპირისპირებული ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება ერთი და იმავე კლასის საქონლის და/ან მომსახურებისათვის, არ არის საკმარისი საქონლის და/ან მომსახურების მსგავსების დასადგენად. საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნიცის კლასიფიკაცია არ წარმოადგენს საქონლის და/ან მომსახურების ჩამონათვლის მსგავსების დადგენის ინსტრუმენტს, არამედ მისი მიზანია მხოლოდ საქონლის და/ან მომსახურების კლასიფიკაცია. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნიცის კლასიფიკაციის ერთსა და იმავე კლასში საქონლის და/ან მომსახურების არსებობა არ შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც მსგავსების დადგენის არგუმენტი, რაც დასტურდება 2014 წლის 4 დეკემბერს შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისის მიერ მიღებული დოკუმენტის „სახელმძღვანელო ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებისა და რეგისტრირებული დიზაინების ექსპერტიზისათვის შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისში (სასაქონლო ნიშნები და დიზაინი)“ ამონარიდიდან: „1.2.1. ...ნიცის კლასიფიკაცია შეიქმნა კლასიფიკაციის ეროვნული პრაქტიკის ჰარმონიზაციის მიზნით. მისი პირველი გამოცემა ძალაში შევიდა 1961 წელს. თუმცა, იგი რამდენჯერმე გადაისინჯა. ზოგჯერ იგი ჩამორჩება ბაზარზე ნაწარმის გაფართოებასთან დაკავშირებულ სწრაფ ცვლილებებს. ამასთანავე, დასათაურებების შინაარსი ზოგჯერ ბუნდოვანი და არაზუსტია.“

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სამოქმედო ინსტრუქციის წესი 2(4) ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ნიცის კლასიფიკაცია ემსახურება მხოლოდ ადმინისტრაციულ მიზნებს და როგორც ასეთი, თავისთავად არ წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების მსგავსების დადგენის საფუძველს. ის

ფაქტი, რომ შესაბამისი საქონელი ან მომსახურება შეტანილია ნიცის კლასიფიკაციის ერთსა და იმავე კლასში, თავისთავად არ არის მსგავსების მაჩვენებელი, მაგალითად,

- *ცოცხალი ცხოველები* არ არის მსგავსი *ყვავილების* (კლასი 31)
- *რეკლამა* არ არის მსგავსი *საოფისე სამსახურის* (კლასი 35)

არც ის ფაქტი, რომ ორი სპეციფიკური საქონელი / მომსახურება მიეკუთვნება ერთსა და იმავე კლასის დასათაურებას, არ აქცევს მათ მსგავსად, როგორც ასეთი: *მანქანები* და *ველოსიპედები* – თუმცა ორივე მიეკუთვნება ტრანსპორტს მე-12 კლასში – არ განიხილება, როგორც მსგავსი საქონელი."

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევს, რომ საქონლის და/ან მომსახურების მსგავსების დადგენა ექსპერტიზის მიერ უნდა მოხდეს საქონლის და/ან მომსახურების სახის, ხასიათის გათვალისწინებით და არა ფორმალურად რომელიმე კლასისათვის მიკუთვნებით. დაპირისპირებული ნიშნის მფლობელის მიერ 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი: „რეკლამა; თვითღირებულება-ფასის ანალიზი; რეკლამის გავრცელება; ბიზნეს კონსულტაცია და საკონსულტაციო მომსახურება; ბიზნესის ორგანიზების კონსულტაცია; ბიზნესის მართვის საკონსულტაციო სამსახური; ბაზრის კვლევა; სარეკლამო ტექსტების გამოცემა; მარკეტინგი; გამოკითხვის გზით კვლევა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; გარე-რეკლამა; სარეკლამო ადგილის გაქირავება; სარეკლამო მასალის გაქირავება; რეკლამის გავრცელება; სარეკლამო მასალის განახლება; ბიზნესის მართვის მომსახურება; ბიზნესის ადმინისტრირება; საოფისე სამსახური" (Advertising; cost-price analysis; dissemination of advertisements; business consultancy and advisory services; business organisation consultancy; business management advisory and consultancy services; market research; publication of publicity texts; marketing; opinion polling; public relations; outdoor advertising; rental of advertising space; rental of advertising material; dissemination of advertisements; updating of advertising material; business management services; business administration; office functions.") უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე განცხადებული

ნიშნისა - „რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული მართვის მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრირების მომსახურება; სოფლის მეურნეობისათვის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მარკეტინგისა და გასაღებაში ხელშეწყობის საქმიანობის საშუამავლო მომსახურება; არარაფინირებულ და თეთრ შაქრთან დამატებით ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის საშუამავლო მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის სეგმენტთან დაკავშირებულ მართვაში დახმარებისა და საკონსულტაციო მომსახურება; სოფლის მეურნეობის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მიმწოდებლებთან/დილერებთან დაკავშირებით ბაზრის შესწავლა და კვლევა საბითუმო და საცალო ბაზრისათვის“. გარდა ჩამონათვლის პირველი ოთხი დასახელებისა - „რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური“, მომსახურება დაკავშირებულია შაქრის შესყიდვა/გაყიდვისთან და მასთან დაკავშირებულ საშუამავლო, საკონსულტაციო და კვლევით საქმიანობასთან. აპელანტის პოზიციით, იმისათვის, რომ გამოირიცხოს განცხადებული ნიშნით ნიშანდებული მომსახურების რამდენიმე დასახელების მსგავსება დაპირისპირებული ნიშნით ნიშანდებული მომსახურების ჩამონათვალთან, განცხადებული ნიშნის მფლობელი თანახმაა, ამოიღოს 35-ე კლასის ჩამონათვლდან შემდეგი მომსახურება: - „რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური“ და შეზღუდოს ჩამონათვალი მხოლოდ შაქრის შესყიდვა/გაყიდვითა და მასთან დაკავშირებული საქმიანობით შემდეგნაირად: „შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული მართვის მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრირების მომსახურება; სოფლის მეურნეობისათვის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მარკეტინგისა და გასაღებაში

ხელშეწყობის საქმიანობის საშუამავლო მომსახურება; არარაფინირებულ და თეთრ შაქრთან დამატებით ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის საშუამავლო მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის სეგმენტთან დაკავშირებულ მართვაში დახმარებისა და საკონსულტაციო მომსახურება; სოფლის მეურნეობის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მიმწოდებლებთან/დილერებთან დაკავშირებით ბაზრის შესწავლა და კვლევა საბითუმო და საცალო ბაზრისათვის“. შესაბამისად, აპელანტის მოსაზრებით, შეზღუდვის გათვალისწინებით აღარ იარსებებს განსხვავებული მომსახურებისათვის განცხადებული ნიშნების აღრევის შესაძლებლობა, რითაც გამოირიცხება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა მომსახურების გამწევი კომპანიების მიმართ.

ამასთან, აპელანტი აღნიშნავს, რომ კომპანია „ალვეან შუგარ ინტერმედიაკანო ე აჟენსიამენტო ლტდა“ განცხადებულ სასაქონლო ნიშნად იყენებს კომპანიის დასახელების ძირითად ელემენტს „ALVEAN“, რაც დამატებითი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ კომპანიას არ აქვს არაკეთილსინდისიერი განზრახვა, ისარგებლოს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტი ითხოვს ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 27 ოქტომბრის N1847/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „ALVEAN“ (საიდ. N79975/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 35-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირებას მომსახურების შემდეგი ჩამონათვლის მიმართ: „შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული მართვის მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრირების მომსახურება; სოფლის მეურნეობისათვის

ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მარკეტინგისა და გასაღებაში ხელშეწყობის საშუამავლო მომსახურება; არარაფინირებულ და თეთრ შაქართან დამატებით ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის საშუამავლო მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის სეგმენტთან დაკავშირებულ მართვაში დახმარებისა და საკონსულტაციო მომსახურება; სოფლის მეურნეობის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მიმწოდებლებთან/დილერებთან დაკავშირებით ბაზრის შესწავლა და კვლევა საბითუმო და საცალო ბაზრისათვის“.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N162-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ALVEAN“ (საიდ. N79975/03) და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „ALVERN“ (IR 985659) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ანბანით. მათ შორის განხვავებას წარმოადგენს მხოლოდ ერთი მე-5 ასო („R“, „A). სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული სხვაობა ვერ უზრუნველყოფს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის საკამრის განმასხვავებლობას.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მომსახურების ჩამონათვალს, განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება 35-ე კლასის შემდეგი ჩამონათვლის მიმართ: „შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული მართვის მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრირების მომსახურება; სოფლის მეურნეობისათვის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მარკეტინგისა და გასაღებაში ხელშეწყობის საშუამავლო მომსახურება; არარაფინირებულ და თეთრ შაქართან დამატებით ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის საშუამავლო მომსახურება; შაქრის შესყიდვა/გაყიდვის სეგმენტთან დაკავშირებულ მართვაში დახმარებისა და საკონსულტაციო მომსახურება; სოფლის მეურნეობის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მიმწოდებლებთან/დილერებთან დაკავშირებით ბაზრის შესწავლა და კვლევა საბითუმო და საცალო ბაზრისათვის.“ მოცემული ჩამონათვალი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლის მსგავსია. აღნიშნული მსგავსება ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

განცხადებული ნიშნის ჩამონათვალი	**დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ჩამონათვალი**
შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული მართვის მომსახურება.	ბიზნესის მართვის მომსახურება (Business management services)
შაქრის შესყიდვა/გაყიდვის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრირების მომსახურება.	ბიზნესის ადმინისტრირება (Business administration)
სოფლის მეურნეობისათვის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის	კონსულტაციები ბიზნესის მართვისა და ორგანიზაციის საკითხებში (Business

მარკეტინგისა და გასაღებაში ხელშეწყობის საშუამავლო მომსახურება; არარაფინირებულ და თეთრ შაქართან დამატებით ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის საშუამავლო მომსახურება.	management advisory and consultancy services); მარკეტინგი (Marketing)
შაქრის შესყიდვა/გაყიდვის სეგმენტთან დაკავშირებულ მართვაში დახმარებისა და საკონსულტაციო მომსახურება.	კონსულტაციები ბიზნესის მართვისა და ორგანიზაციის საკითხებში (Business management advisory and consultancy services)
სოფლის მეურნეობის ბითუმად შესყიდული ნედლი მასალის, აგრეთვე, არარაფინირებული და/ან თეთრი შაქრის მიმწოდებლებთან/დილერებთან დაკავშირებით ბაზრის შესწავლა და კვლევა საბითუმო და საცალო ბაზრისათვის	ბაზრის კვლევა (Market research)

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „ALVEAN“ (საიდ. N79975/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალურის საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ალვეან შუგარ ინტერმედიაკანო ე აჟენსიამენტო ლტდა.“ (ALVEAN SUGAR INTERMEDIAÇÃO E AGENCIAMENTO LTDA.) N162-03/15 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 27 ოქტომბრის N1847/03 ბრძანება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი